ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტსა
და
სახელმწიფო ბიოტექნოლოგიურ უნივერსიტეტს (ხარკოვი, უკრაინა)
შორის

__ _____, 2023

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „ბსუ"), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ სახელმწიფო ბიოტექნოლოგიური უნივერსიტეტი (შემდგომში „SBTU"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ანდრეი კუდრიაშოვის მიერ, შემდგომში წოდებულნი "მხარეებად", ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის სფეროში, თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთობის განმტკიცებას და თანამშრომლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში;
2. მხარეებს შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგ სფეროებში:

ა) აკადემიური პერსონალის და მკვლევართა გაცვლა;
ბ) სტუდენტთა გაცვლა;
გ) ერთობლივი კვლევითი პროექტების ორგანიზება, მათ შორის კონფერენციები, შეხვედრები და სემინარები;
დ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის/პუბლიკაციების გაზიარება და გაცვლა;
ე) ერთობლივი საზაფხულო სკოლების და სხვა ღონისძიებების განხორციელება;
ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარება და გაცვლა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ თანამშრომლობა განხორციელდება ორივე მხარისათვის მისაღები ფორმებით.
4. შეთანხმებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკამათო საკითხი გადაწყდება მხარეებს შორის კონსულტაციისა და მოლაპარაკების გზით.
5. მემორანდუმში შესწორების შეტანა განხორციელდება მხარეებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

6. მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ეს მემორანდუმი ავტომატურად განახლდება იმავე პერიოდით, თუ რომელიმე მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს მისი შეწყვეტის შესახებ.

7. მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მემორანდუმი მეორე მხარისათვის 3 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

8. თითოეული მხარე დანიშნავს საკონტაქტო პირს:

8.1 SBTU მხარისთვის:

ნატალია სავიცკა, მარკეტინგის, რეპუტაციისა და მომხმარებელთა გამოცდილების მართვის დეპარტამენტის უფროსი

8.2 „ბსუ"-ს მხრიდან:

პროფ. ანზორ დევაძე, ტურიზმის ფაკულტეტის, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

9. მხარეთა საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სახელმწიფო ბიოტექნოლოგიური უნივერსიტეტი**
მისამართი: N35/N32ნინოშვილის ქ/რუსთაველის ქ. 6010 ბათუმი, საქართველო ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge ვებსაიტი: www.bsu.edu.ge	მისამართი: 44 ალექვსკიხის ქუჩა, 61002 ხარკოვი, უკრაინა ელ. ფოსტა: info@btu.kharkov.ua ვებსაიტი: www.btu.kharkov.ua
პროფ. მერაბ ხალვაში, **რექტორი**	**რექტორის მოვალეობის** **შემსრულებელი** **ანდრეი კუდრიავცევი**
თარიღი: 18.10.2023	თარიღი: